




# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის აპრილის 1.	<b>№ 6</b>	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვე- ლობის მიერ გამოცემული.
განყოფილება პირველი		

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

- მუხ. 49. შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.
- „ 50. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის განხორციელების ძირითად დებუ-  
ლებათა შესახებ.
- „ 51. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოწყობის შესახებ.
- „ 52. წყლის გამოსადების 1928-29 საშენაწერო წელში გადახდის უკიდურესი ვადის შესახებ.
- „ 53. ქულა-ბამბისა და ქულა-მატყლის ფასებისათვის მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატების  
დაწესების შესახებ.
- “ 54 სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასისა და საკომპენსაციო  
სასყიდლის გაღებისათვის და ზედმეტი მუშაობის წარმოებისათვის კონტროლის გაწე-  
ვის შესახებ.
- „ 55. შრომის ბაზრის მოწესრიგებისა, სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეებისა  
და სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესების  
ღონისძიებათა შესახებ.
- „ 56. ა/კსფსრ-ში მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების  
ძირითად დებულებათა ზოგიერთი მუხლის დამატებისა და შეცვლის შესახებ.
- „ 57. სასამართლო ბაჟისა და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსადების გადახდის  
სფეროში ა/კსფსრ სარეწაო-საკრედიტო კოოპერატიული ორგანიზაციების სახელმწი-  
ფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან გათანაბრების შესახებ.
- „ 58. დებულება სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და საჯა-  
რო-ანგარიშგებაუღებულ შერეულ საზოგადოებათა საანგარიშო ნაწილის შესახებ.
- „ 59. ყოველგვარი სისტემის ზამბარიანი სასწვრების უცხოეთიდან შემოტანისა და ა/კსფსრ  
ტერიტორიაზე წარმოების მოწყობის აკრძალვისა შესახებ.
- „ 60. 1929 წლის მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.





## ციკულიარი № 8 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. მარტის 16.

### 49. შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

აზერბაიჯანის სსრ-ისა, საქართველოს სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატებს

თანხმად სსრ-ის სახალხო კომისარიატის საბჭოს 1929 წ. მარტის 6-ს დადგენილებითა „შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ (გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 54 №-რი 1929 წ. მარტის 8-ისა) სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატმა გამოსცა 1929 წ. მარტის 8-ს თარიღისა და 193 №-ის ციკულიარი „შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ“ (გაზ. „ტრუდ“-ის 57 №-რი 1929 წ. მარტის 9 სა), რომლითაც გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებათათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, იღებს-რა მხედველობაში სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის დირექტივების უაღრეს და სერიოზულ მნიშვნელობას, წინადადებს აძლევს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს—მკაცრად გაუმკლავდნენ შრომის დისციპლინის დარღვევას და აქტიური დახმარება გაუწიონ სამეურნეო ორგანოებსა და პროფესიონალურ კავშირებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მათ მიერ წარმოებულ მუშაობაში.

ამასთან დაკავშირებით შრომის ყველა ორგანომ ა/კსფსრ-ში უცილობელი აღსრულებისათვის უნდა მიიღოს სსრკ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1929 წ. მარტის 6-ს დადგენილება „შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1929 წ. მარტის 8-ს თარიღისა და 193 №-ის ციკულიარი „შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ“.

კერძოდ, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებს იძლევა—შრომის დისციპლინის დარღვევის გამო კონფლიქტების განხილვის დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს შემდეგი:

1. უნდა იგულისხმებოდეს, რომ, სსრკ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1929 წ. მარტის 6-ს დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, ყველა გადასახდელი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, რაც გათვალისწინებულია გადასახდელთა ტაბულით (მათ შორის დათხოვნაც) დაიდება ადმინისტრაციის მიერ დამოუკიდებლად; ამასთანავე, გადასახდელით უკმაყოფილო მომუშავეს შეუძლიან განასაჩივროს დადებული გადასახდელი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში.

2. უნდა იგულისხმებოდეს, რომ გადასახდელთა მომქმედი ტაბულებით გათვალისწინებულია გადასახდელის სახით დათხოვნის შესაძლებლობა შრომის დისციპლინის პირველადვე უხეში დარღვევისათვის.



3. უნდა იგულისხმებოდეს, რომ გადასახდელთა ტაბულა იძლევა მხოლოდ საერთო დებულებებს და არ ეხება ჩადენილი დანაშაულის კონკრეტულ ვითარებას, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლიან დაამძიმოს მომუშავეს დანაშაული. ამასთან დაკავშირებით უნდა იგულისხმებოდეს, რომ, მაგალითად, უკეთეს სამუშაოზე მთვრალად ყოფნა პირველად, ტაბულის მიხედვით, როგორც საერთო წესი, — გამოიწვევს მხოლოდ საყვედურს, — სამაგიეროდ მთვრალად მუშაობამ განსაკუთრებით პასუხსაგებ მექანიზმზე, რაც საფრთხეს წარმოადგენს საწარმოს უვნებლობისათვის ან მუშების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, — შეიძლება გამოიწვიოს დაუყოვნებელი დათხოვნა. ამის გამო, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის ის დადგენილება, რომლითაც დათხოვნა სამართლიანად არის ცნობილი და რომელიც დასაბუთებულია მომუშავეს დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებით, არ უნდა იქნეს გაუქმებული ზედამხედველობის წესით, თუნდაც გადასახდელთა ტაბულით გათვალისწინებული იყოს, როგორც საერთო წესი, უფრო მსუბუქი გადასახდელი.

4. არ უნდა იქნეს გაუქმებული შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის ის დადგენილება დისციპლინის დარღვევისათვის დადებული გადასახდელის საკითხის გამო, რომელშიაც აღმოჩნდება ფორმალური ხასიათის გადახრა, რაც გავლენას ვერ იქონიებდა გადაწყვეტილების დედაარსზე.

5. ზედმიწევნით და დაწვრილებით უნდა იქნენ დასაბუთებული ზედამხედველობის წესით გამოტანილი გადაწყვეტილებანი, კერძოდ, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს უნდა მიეცეს დირექტივები შრომის დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ ურყევი ბრძოლის წარმოების აუცილებლობის შესახებ.

ამასთან ერთად მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში, რომ, უკეთეს ადმინისტრაციის მიერ ტაბულის მიხედვით დადებული გადასახდელის გამო შეტანილი მომუშავეს საჩივრის განხილვის დროს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, გადასახდელი ძალაში რჩება.

გადასახდელით უკმაყოფილო მომუშავეს უფლება აქვს მიმართოს შრომის სესსიას სარჩელით გადასახდელის გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძღვეთ მიიღოთ ყოველი საჭირო ღონისძიება ამა ცირკულიარში აღნიშნული დირექტივების ზედმიწევნით და უცვლელად განხორციელებისათვის.

თქვენ მიერ მიღებულ ღონისძიებათა შესახებ სასწრაფოდ უნდა აცნობოთ ა/კსფსრ შრომის სახ. კ-ტს.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და  
სატ.-საკონფლ. განყ. გამგე **სიზოტენკო.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 62 №-ში 1929 წ. მარტის 20-ს.



**დადგენილება № 114 ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**50. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის განხორციელების ძირითად დებულებათა შესახებ.**

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. თებერვლის 20-ს დამტკიცებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების (კან. კრ. 1929 წ. მე-12 №-რი, მუხ. 103) თანახმად ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-15 მუხ. თანახმად დაწესებულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებისათვის შემოსავლიანობის შემდეგი ნორმები:

რესპუბლიკები	ერთი დესეტინა მიწის შემოსავლიანობა მანეთობით							
	ნათესი	სახნავი	სათიბი	ბოსტანი და ბაღი	ვენახი	ბაღი	თამბაქოს ნათესი	ბრიჯი
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	45	30	18	150	200	165	175	150
სომხეთის სსრ . . . . .	45	30	18	150	230	165	175	185
საქართველოს სსრ; აღმოსავლეთი და დასავლ. . . . .	45	30	18	150	240	200	175	150
აფხაზეთის სსრ . . . . .							265	

რესპუბლიკები	ერთი დესეტინა მიწის შემოსავლიან. მანეთობით				ოთხთ. საქონ. თითო სულის შემოსავლიან. მან.			
	მანდარინის ნარგავი	ბალახის ხელფენ. თესვა	ბამბა	კარტოფლი	ცხენი, აქლემი, ჯიჯი	მსხვილფეხა საქონელი, ცხენ. და კამეჩის ფარდა	ხარი, კამეჩი	
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	—	45	22—50	150	15	13—25	13	
სომხეთის სსრ . . . . .	—	45	22—50	150	15	13—25	13	
საქართველოს სსრ; აღმოსავლეთი და დასავლეთი . . . . .	—	45	22—50	150	15	13—25	13	
აღმოსავლეთი დასავლეთი . . . . .	350					13—25	10—50	



რესპუბლიკები	თითო სული საქონლის შემოსავლიან. მანეთ.			სკის შემოსავალან.	
	ვირი	ცხვარი თხა	ლორი	ჩარჩო- ინი	გაჯა
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	5	2—55	5	5	2
სომხეთის სსრ . . . . .	5	2—55	5	5	2
საქართველოს სსრ . . . . .	5		5	5	2
აღმოსავლეთი . . . . .		2—55			
დასავლეთი . . . . .		1—55			

2. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დააწესონ შემოსავლიანობის ნორმები რესპუბლიკაში შემავალი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი შემოსავლის თვითეულ წყაროზე (ერთი დესეტინა მიწის შემოსავლიანობა, თითო სული საქონლის შემოსავლიანობა, სკის შემოსავლიანობა);

ბ) დააწესონ შემოსავლიანობის ცალკე ნორმები წყლიანი და უწყლო სათიბებისათვის, აგრეთვე, უკეთეს ეს ადგილობრივი პირობების მიხედვით მიხან-შეწონილი იქნება, შემოსავლიანობის ცალკე ნორმები სხვადასხვაგვარი ბოსტნებისა, ბალჩებისა და ბაღებისათვის (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებ. მე-15 მუხ.);

3. ამა თუ იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულისათვის შემოსავლიანობის ნორმების დაწესების დროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ შესცვალონ ამა თუ იმ ადგილისათვის ამა დადგენილების 1-ლ მუხ. განსაზღვრული საშუალო ნორმები, ხოლო იმ პირობით-კი, რომ 1-ლ მუხლში აღნიშნული თვითეული წყაროს შემოსავლის საერთო თანხა რესპუბლიკისათვის შეცვლილი არ იქნეს.

ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ შესცვალონ ცალკე გავარაკისა, თემისა, დაირისა და სოფლისათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დაწესებული შემოსავლიანობის ნორმები, ხოლო იმ პირობით-კი, რომ 1-ლ მუხლში აღნიშნული თვითეული წყაროს შემოსავლის საერთო თანხა ავტონომიური რესპუბლიკისა თუ მაზრისათვის შეცვლილი არ იქნეს; ამასთანავე, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დაწესებული საშუალო ნორმების გადიდება შეიძლება არა უმეტეს, ვიდრე 10%-ით; ხოლო, უკეთეს საჭირო იქნება ამა თუ იმ ადგილს გაუდიდდეს 1929-30 წლისათვის დაწესებული საშუალო ნორმები 10 პროცენტზე მეტი რაოდენობით, შე-



მოსავლიანობის ნორმები არ უნდა აღემატებოდეს იმ ნორმებს, რაც უწყებულ ვაგარაკში, თემში, დაირში ან სოფელში შეფარდებული იყო 1928-29 წელს.

4. ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების მე-17 მუხ. თანახმად, უკეთეს დასაბეგრი იქნება, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი ობიექტების გარდა, სხვა რამ სპეციალური დარგი სოფლის მეურნეობისა,—ამ წყაროს შემოსავლიანობის ნორმები ცალკე ადგილებისათვის უნდა დააწესონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა.

იგივე საბჭოები დააწესებენ ინდივიდუალურ მეურნეობაში საწევი ძალის სახით გამოსაყენებელი ტრაქტორების შემოსავლიანობის ნორმებს.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მომიჯნავე რაიონებში მემინდვრობისა, პეველეობისა, სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგებისა და ოთხეფხი საქონლის შემოსავლიანობის ნორმებს შორის დიდი განსხვავების თავიდან ასაცილებლად—აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები მოვალენი არიან, ამ მომიჯნავე რაიონებში შემოსავლიანობის ნორმების დაწესების დროს, შეუთანხმონ ერთმანეთს ეს ნორმები.

6. მემინდვრობის შემოსავალი ა/კსფსრ-ში განისაზღვრება ნათესის მიხედვით, ე. ი. მეურნეობაში ფაქტიურად დათესილი მიწის რაოდენობის მიხედვით.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ მემინდვრობის შემოსავალი ამა თუ იმ რაიონისათვის, ადგილობრივი პირობების გამო, განსაზღვრონ სახნავის მიხედვით, ე. ი. მთლად მეურნეობაში ქონებული სახნავი მიწის რაოდენობის მიხედვით.

7. ბაღჩას, ბოსტანს და ბაღს ერთიანი სას.-სამ. გადასახადი მათთვის დაწესებული შემოსავლიანობის სპეციალური ნორმების მიხედვით დაედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ბოსტანი ან ბაღჩა მეურნეობაში აღემატება 60 კვად. საყ., ხოლო ხეხილის ბაღი—120 კვად. საყენს.

კოლექტიურ მეურნეობაში ბოსტანი, ბაღჩა და ბაღი შემოსავლიანობის სპეციალური ნორმების მიხედვით დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს თვითურთ მკამელზე მოდის 12 კვადრ. საყენზე მეტი ბოსტნის ან ბაღჩის სივრცე, ხოლო ბაღის სივრცე—24 კვად. საყენზე მეტი.

ის ბაღჩა, ბაღი და ბოსტანი, რომელიც ამა მუხლში აღნიშნულ რაოდენობას არ აღემატება, ერთიანი სას.-სამ. გადასახადით დაიბეგრება მემინდვრობისათვის დაწესებული შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ დააწესონ უფრო დიდი, წინა (7) მუხლთან შედარებით, უკიდურესი რაოდენობა ბოსტნისა, ბაღჩისა და ბაღისა ისეთ ცალკე რაიონებში, სადაც ბოსტანს, ბაღჩას და ბაღს აქვს წმინდა სამომხმარებლო ხასიათი.

9. სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაქირავებით მიღებული შემოსავლისა, გარე-სარეწაოზე გასვლით, შინამრეწველობით, ხელოსნობით და სხვა,—არასამიწათმოქმედო,—საშოვრით მიღებული შემოსავლის დასაბეგრი პროცენტების განსაზღვრა (დებულების 26 მუხ.) დაეკისრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს.





10. ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 27 მუხ. თანხმად დაწესდეს შემდეგი პროცენტული ზედნართები სათანადო ნორმების მიხედვით გამოანგარიშებულ სასოფლო მეურნეობის შემოსვლაზე (ე. ი. მემინდვრობისა, მეველეობისა, მესაქონლეობისა და სპეციალური დარგებისა), აგრეთვე ინდივიდუალური მეურნეობის საერთო დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა, რომელი შემოსავლის მიხედვითაც მეურნეობებს უნდა შეეფარდოს აღნიშნული პროცენტული ზედნართები:

როდესაც მეურნეობის ყველა წყაროდან მისაღები დასაბეგრი შემოსავლის სერთო თანხა არის:

სოფლის მეურნეობის შემოსავლის ზედნართი განისაზღვრება:

იმ მეურნეობისათვის, რომლის საერთო შემოსავლი:

500 მან. მეტია	600 მანეთამდე . . . . .	5 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
600 " "	650 " . . . . .	6 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
650 " "	700 " . . . . .	7 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
700 " "	750 " . . . . .	8 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
750 " "	800 " . . . . .	9 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
800 " "	. . . . .	10 <sup>0</sup> / <sub>100</sub>

11. წინა (10) მუხლით დაწესებული ზედნართები არ შეეფარდება:

ა) იმ მეურნეობას, რომელშიაც 9 და 10 მჭამელია და რომლის სერთო დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 60 მან. თითო მჭამელზე; რომელშიაც 11 და 12 მჭამელია და საერთო დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 65 მან. თითო მჭამელზე; რომელშიაც 13 და მეტი მჭამელია და საერთო დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 70 მან.;

ბ) იმ მეურნეობას, რომლის შემოსავალიც 650 მან. არ აღემატება და რომელიც, საკუთარი საწვევი ძალის უქონლობის გამო, მიმართვას ამ ძალის დაქირავების.

**შენიშვნა.** საწვევი ძალის არამქონე მეურნეობად ჩაითვლება ისეთი მეურნეობა, რომელსაც ორი ხარი (კამეჩი) ან ორი ცხენი არა ჰყავს.

12. დაწესებულ იქნეს, რომ უფრო მდიდარ კულაკურ მეურნეობათა რიცხვი, რაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ერთიანი სას.-სამ. გადასახადით დაბეგრილ უნდა იქნეს ინდივიდუალური წესით, არ უნდა აღემატებოდეს ამ რესპუბლიკების ყველა საგლეხო მეურნეობათა საერთო რიცხვის სამს პროცენტს.

13. იმ ნიშნების მტკიცე ნუსხის დადგენა, რომელთა მიხედვითაც მეურნეობა დაბეგრილ უნდა იქნეს ინდივიდუალური წესით (დებულების 29 მუხლი), დაეკისროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს.

14. ერთიანი სას.-სამ. გადასახადის გამოანგარიშება ა/კსფსრ-ში დაწესებულ იქნეს თვითეული ინდივიდუალური მეურნეობის მთელი შემოსავლის საერთო თანხისა და მჭამელთა რიცხვის მიხედვით (დებ. 32 მუხ.).



15. ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 43 მუხ, თანახმად დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის შემდეგი დაუბეგრავი მინიმუმი, ე. ი. შემოსავლის უკიდურესი რაოდენობა, რომლის მიხედვით მეურნეობა აუცილებლად განთავისუფლებულ უნდა იქნეს გადასახადისაგან:

ა) ინდუვიდუალური მეურნეობისათვის, სადაც 1 და 2 მჭამელია—110 მან. რაოდენობით; სადაც 3 და 4 მჭამელია—130 მან. რაოდენობით; სადაც 5 და მეტი მჭამელია—150 მან. რაოდენობით;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და არტელისათვის—30 მან. რაოდენობით მჭამელზე.

16. იმ ნიშნებსა და წესს, რითაც განისაზღვრება აშკარა კულაკური მეურნეობა, რომელზედაც დებულების 44 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული შეღავათები არა ვრცელდება, დაადგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით.

17. ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 47 მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად სამრეწველო მეურნეობის რაიონებს მიეკუთვნოს შემდეგი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულები:

საქართველოს სსრ-ში—ბორჩალოს მაზრის ბაშკიჩეთის რაიონი, ტფილისის მაზრის წალკის რაიონი და ახალქალაქის მაზრა.

სომხეთის სსრ-ში—ლორი ბამბაკის მაზრის ვორონცოვისა და სტეფანავანის რაიონები და ლენინკანის მაზრის ყიზილ-ყოჩის რაიონი.

**შენიშვნა.** ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ შეიტანონ დამატებანი აღნიშნულ ნუსხაში ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით.

18. ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 48 მუხლის თანახმად არ უნდა დაიბეგროს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ის მიწის სივრცე, რაც ჩაის პლანტაციებსა, ზაფრანას და თუთის ნარგავს უჭირავს.

**შენიშვნა.** ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ, უკეთუ თუთის ნარგავს აქვს სამრეწველო ხასიათი სპირტის გამოსახდელად, დაბეგრონ იგი ერთიანი სას.-სამეურნეო გადასახადით რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დაწესებული ნორმების მიხედვით.

19. ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 74 მუხ. თანახმად დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი ვადები გადასახადის გასასტუმრებლად:

- პირველი ვადა—1929 წ. ოქტომბრის 1-ლი . . . . . 20% შეწერილი გადასახადისა.
- მეორე ვადა—1929 წ. დეკემბრის 1-ლი . . . . . 50% შეწერილი გადასახადისა.
- მესამე ვადა—1930 წ. თებერვლის 1-ლი . . . . . 30% შეწერილი გადასახადისა.

**შენიშვნა.** აფხაზეთის სსრ-თვის გადასახადის გასტუმრების უკიდურეს ვადას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.



20. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინა მუხლში აღნიშნული უკიდურესი ვადების საფუძველზე დააწესონ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის და მაზრებისათვის გადასახადის გასტუმრების ვადები.

21. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ სოფლად კამპანიის ჩატარება დაეკისრება სოფლის საბჭოებს, გავარაჯ-თემ-დაირის აღმასრულებელ კომიტეტებსა და ქალაქის საბჭოებს იმ დასახლებულ ქალაქ-ადგილებში, სადაც, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებით, სოფლის მეურნეობის მიმდევარი პირნი იბეგრებიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

22. სასოფლო საბჭოების მოვალეობას შეადგენს:

ა) ერთიანი სას.-სამ. გადასახადის გადამხდელთა სოფლობითი სიების შედგენა;

ბ) დასაბეგრი შემოსავლის წყაროების აღნუსხვა;

გ) თვითეულ მეურნეობაში მჭამელთა რიცხვის განსაზღვრა;

დ) გადამხდელთათვის საშენაწერო ფურცლების ჩაბარება;

ე) გავარაჯ-თემ-დაირის აღმასრულებელი კომიტეტების დავალებით იძულებითი ღონისძიების მიღება არაპირიან გადამხდელთა წინააღმდეგ გადასახადის გადახდევინებისათვის.

23. ერთიანი სას.-სამეურნეო გადასახადის შესახებ კამპანიის ჩატარებისათვის სასოფლო საბჭოებთან, ყველგან, დამხმარე ორგანოს სახით, მოეწყობიან სასოფლო სააღნუსხვო კომისიები.

24. სასოფლო სააღნუსხვო კომისიის წევრებად არიან: სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტის თავმჯდომარე და სოფლის ყრილობის მიერ არჩეული პირი.

სასოფლო სააღნუსხვო კომისიის თავმჯდომარედ არის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

სოფლის ყრილობის მიერ არჩეული წევრები სასოფლო სააღნუსხვო კომისიებისა მონაწილეობას იღებენ კომისიის მუშაობაში თვითეული—იმ საქმეების გამო, რაც ეხება ერთიანი სას.-სამ. გადასახადის ჩატარებას სათანადო სოფლებში.

25. სასოფლო სააღნუსხვო კომისიას დაეკისრება:

ა) სოფლობითი სიების შედგენა და შემოსავლის წყაროებისა და მჭამელთა აღნუსხვა;

ბ) წინასწარი განსაზღვრა თვითეული მეურნეობის არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობისა;

გ) წინასწარი გამოკვლევა უფრო მდიდარი კულაკური მეურნეობებისა, რომლებიც, ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 28 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური წესით იბეგრებიან;

დ) დასკვნის მიცემა გადამხდელთა მიერ შეღავათებისა და მონაკლებების თაობაზე შეტანილი საჩივრებისა და შუამდგომლობის გამო.



**შენიშვნა.** საქართველოს სსრ-ის იმ რაიონებში, სადაც სასოფლო საბჭო არ არსებობს, სასოფლო საბჭოს მოვალეობას ასრულებს სათემო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო ერთიანი სას.-სამ. გადასახადის შესახებ კამპანიის ჩასატარებლად (ამა დადგენილების 23 მუხ.) მოეწყობა სათემო სააღმსრულებლო კომისია.

26. გავარაკ-თემ-დაირის აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრებათ:

ა) შეამოწმონ სასოფლო საბჭოების მიერ შედგენილი სოფლობითი სიებისა და შემოსავლის წყაროების აღნუსხვის სისწორე;

ბ) დაადონ, ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 82 მუხლის წესი-სამებრ, ჯარიმები გადასახადის გადახდევინებელი ორგანოების წინაშე შემოსავლის წყაროების დამალვისათვის (მიწისა, საქონლისა და სხ. რაოდენობისა);

გ) შეუფარდონ გადახდელთ იძულებითი ღონისძიებანი ერთიანი სას.-სამ. გადასახადის გადახდევინებისათვის გადასახადთა გადახდევინების დებულების წესისამებრ;

დ) მიიღონ გადასახადი და გადაუგზავნონ სათანადო მიმღებ დაწესებულებას;

ე) დაუბრუნონ ან გაუბარონ შემტანთ ზედმეტად შეტანილი ერთიანი სას.-სამ. გადასახადი;

ვ) აწარმოონ ცალკე გადახდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე ერთიანი სას.-სამ. გადასახადის მთელი ანგარიშწარმოება და ანგარიშგება;

ზ) გაუწიონ საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გადასახადის გადახდევინებას გავარაკ-თემ-დაირის ფარგლებში.

27. გავარაკ-თემ-დაირის აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსდებიან ერთიანი სას.-სამ. გადასახადის საგავარაკო-სათემო-სადაირო კომისიები შემდეგი შედგენილობით:

ა) თავმჯდომარე—გავარაკ-თემ-დაირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) საგავარაკო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო ნაწილის გამგე;

გ) გავარაკ-თემ-დაირის საადგილმამულო ორგანოს მომუშავე;

დ) სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ე) ორი გლეხი: ერთი—გლეხთა ურთიერთი დამხმარე კომიტეტის დანიშვნით, ხოლო მეორე—სათანადო სოფლის ყრილობის არჩევით.

ერთიანი სას.-სამ. გადასახადის საგავარაკო, სათემო და სადაირო კომისიის წევრთა რიცხვში აირჩევა თითო წარმომადგენელი უწყებული გავარაკისა, თემისა და დაირის ყველა სოფლის ყრილობებიდან; ხოლო თვითეული ამ წევრთაგანი საგადასახადო კომისიის სხდომებში მონაწილეობას იღებს მარტო სათანადო სოფლის საქმეების გამო.

28. კომისიის გლეხი-წევრი, სოფლის ყრილობის მიერ არჩეული, კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის გასამრჯელოს მიიღებს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარიდან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ განსაზღვრული რაოდენობით.



29. დასახლებულ ქალაქ-ადგილებში, სადაც, ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებით, შემოღებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა, საქალაქო საბჭოებთან მოეწყობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიები საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის წევრის თავმჯდომარეობით, პრეზიდიუმის დანიშვნისამებრ, და სათანადო საფინანსო ორგანოს, ქალაქის მიწების გამგე ორგანოს და სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელთა (თითო-თითო) შედგენილობით, ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების დანიშვნისამებრ, და აგრეთვე გადამხდელთა ერთი წარმომადგენლის მონაწილეობით.

30. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საგავარაკო, სათემო და სადაირო და საქალაქო საბჭოს კომისიებს დაეკისრებათ:

ა) გაანთავისუფლონ ღარიბ მეურნეობათა არასამიწათმოქმედო შემოსავალი დაბეგვრისაგან, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-10 მუხლის წესისამებრ;

ბ) განსაზღვრონ გადამხდელთა არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობა (დებულების 26 მუხ.) და საბოლოოდ განსაზღვრონ იმ მეურნეობათა მთელი დასაბეგრი შემოსავლის თანხა, რომელთაც აქეთ არასამიწათმოქმედო საშოვარი;

გ) გადასწყვიტონ საკითხი უწყებელი მეურნეობის იმ უფრო მდიდარ კულაკურ მეურნეობათა რიცხვისათვის მიკუთვნების შესახებ, რომელნიც, დებულების 28 მუხლის თანახმად, ინდივიდუალურის წესით უნდა იქნეს დაბეგრილი;

დ) გადასწყვიტონ საკითხი დაუბეგრავი მინიმუმის იმ მეურნეობათათვის შეუფარდებლობის შესახებ, რომელთაც აქეთ ისეთი შემოსავალი, რაც უნდა დაიბეგროს სარეწაო და საშემოსავლო გადასახადების კანონების მიხედვით (დებულების 42 მუხ. შენიშვნა);

ე) გაანთავისუფლონ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სრულად ან ნაწილობრივ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობანი (დებულების 62 მუხ.);

ვ) გადასწყვიტონ გადამხდელთა საჩივრები (საბჭოთა მეურნეობის გარდა) შემოსავლის წყაროების არა სისწორით აღნუსხვისა, შემოსავლის თანხის არასისწორით განსაზღვრისა და შესაწერი გადასახადის არასისწორით გამოანგარიშების თაობაზე;

ზ) დანიშნონ კანონით გათვალისწინებული შეღავათები და მონაკლებები.

31. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისართა საბჭოებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიები შემდეგი შედგენილებით:

ა) თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავენ ზემოაღნიშნული ორგანოები კუთვნილებისამებრ;



ბ) წარმომადგენლები (თითო-თითო) სათანადო საფინანსო, საადგილ-მამულს და სტატისტიკური ორგანოებისა და პროფესიონალური ორგანიზაციებისა— ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების დანიშნით;

გ) თავმჯდომარე გლახთა საურთიერთო დახმარების კომიტეტისა.

32. წინა მუხლში აღნიშნულ საგადასახადო კომისიებს დაეკისრებათ:

1) განიხილონ წინასწარ საკითხები და წარადგინონ თავიანთი დასკვნები სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებში:

ა) გავარაკისა, თემისა, დაირისა და სოფლის ფარგლებში შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

ბ) სხვადასხვაგვარი ბოსტნებისა, ბაღებისა და ბაღებისათვის შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმების დაწესების შესახებ;

გ) გავარაკებისა, თემებისა და დაირებისათვის გადასახადის გადახდის კერძო ვადების დაწესების შესახებ ამა დადგენილების მე-19 მუხლით დაწესებული ვადების ფარგლებში;

დ) იჯარით აღებული მიწების შემოსავლიანობის ნორმების მონაკლებთა პროცენტის განსაზღვრის შესახებ (დებულების 18 მუხ.).

2) დაამტკიცონ საბოლოოდ ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა სია.

3) გადასწყვიტონ სათანადო შემთხვევაში საჩივრები ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვემდგომი კომისიების გადაწყვეტილებების გამო.

33. ვადამხდელთა დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა, შესაწერი გადასახადის გამოანგარიშება, საშენაწერო ფურცლებისა და საპირადო ანგარიშების შედგენა დაეკისრებათ სამაზრო საფინანსო განყოფილებათ.

**შენიშვნა.** ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ ამა თუ იმ რაიონში ეს მოვალეობანი დააკისრონ საგავარაკო, სათემო და სადაირო აღმასრულებელ კომიტეტებს.

34. ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან მოეწყობიან რესპუბლიკანური საგადასახადო კომისიები აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ განსაზღვრული შედგენილობით.

35. რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიას (34 მუხ.) დაეკისრება:

1) განიხილოს წინასწარ საკითხები და წარადგინოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში თავისი დასკვნები:

ა) მემინდვრობის შემოსავლის—სათესისა თუ სახნავის მიხედვით—გამოანგარიშების შესახებ;

ბ) იმ დასახლებული ქალაქ-ადგილების სიების დადგენის შესახებ, სადაც სოფლის მეურნეობის მიმდევარი პირნი იბეგრებიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, აგრეთვე იმ პირთა კატეგორიების განსაზღვრის შესახებ, რომელნიც ამ ქალაქ-ადგილებში ცხოვრობენ და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან (დებულების მე-4 მუხ.);



გ) ამა თუ იმ სახის არასამიწათმოქმედო შემოსავლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრისაგან განთავისუფლებისა და, დებულების მე-10 მუხლის თანახმად, ამ შემოსავლის სარეწაო და საშემოსავლო გადასახადებით დაბეგრის შესახებ;

დ) იმ ბაღებისა, ბაღებისა და ბოსტნების უკიდურესი სივრცის განსაზღვრის შესახებ, რომლებიც შემოსავლიანობის სპეციალური ნორმების მიხედვით არ იბეგრება;

ე) შემოსავლის ცალკე წყაროების შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

ვ) ამა თუ იმ სახის არასამიწათმოქმედო დასაბეგრი შემოსავლის პროცენტის განსაზღვრის შესახებ;

ზ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების ვადების დაწესების შესახებ;

თ) იმ ნიშნების ნუსხის დამატების შესახებ, რომლის მიხედვითაც მეურნეობა დაბეგრილ უნდა იქნეს ინდივიდუალური წესით.

2) გადასწყვიტოს სათანადო შემთხვევაში საჩივრები ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვემდგომი კომისიების გადაწყვეტილებების გამო.

36. ამა დადგენილების აღსასრულებლად ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ და გამოაქვეყნონ თავიანთი დადგენილებანი არა უგვიანეს 1929 წ. აპრილის 1-სა.

37. სათანადო ღირეკტივების გაცემა ამა დადგენილების შესაფარდებლად დაეკისრება ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ა/კფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/კფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. მარტის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 68 №-ში 1929 წ. მარტის 27-ს.



## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

### 51. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოწყობის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 67 და 68 მუხ. თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოეწყოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეიმუშაოს და წარუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად ერთი თვის ვადაზე დებულება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. მარტის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 68-№-ში 1929 წ. მარტის 27-ს.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 52. წყლის გამოსადების 1928-29 საშენაწერო წელში გადახდის უკიდურესი ვადის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-6 მუხლი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 27-ს დადგენილებისა „ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1928-29 საშენაწერო წელს წყლის





გამოსაღების დაწესების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-რი, მუხ. 261) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. წყლის გამოსაღების გადახდის უკიდურეს ვადად დაწესებულია 1929 წ. აპრილის 1-ლი“.

მე-6 მუხლის შენიშვნა დატოვებულ იქნეს ძალაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. მარტის 22. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია-ვოსტოკა“-ს 68 №-ში 1929 წ. მარტის 27-ს.

### დადგენილება № 4 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. თებერვლის 28.

#### 53. ქულა-ბამბისა და ქულა-მატყლის ფასებისათვის მაქსიმალურ- უკიდურესი წანამატების დაწესების შესახებ.

„ა/კსფსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ივნისის 26-ს დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. მარტის 22-ს დადგენილების (ოქმი № 75) თანახმად ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს;

დაწესებულ იქნეს ქულა-ბამბისა და ქულა-მატყლისათვის ტრესტების მიერ განსაზღვრულ საგასაცემო საპრეისკურანტო ფასებზე შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატები:

- 1) სრულიად საკავშირო საკავლო სინდიკატისათვის—კოოპერაციასთან და სახელმწიფო ვაჭრობასთან დადებული გენერალური ხელშეკრულებების მიხედვით, როდესაც საქონელი პირდაპირ ფაბრიკიდან გაიცემა საქონლის მიმღებთა ადრესით,—0,6<sup>0</sup>/<sub>0</sub>;
- 2) საფეიქრო სავაჭრო სინდიკატისათვის, როდესაც საქონელი ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოქმედ წვირილ-საბითუმო განყოფილებიდან გაიცემა,—2,8<sup>0</sup>/<sub>0</sub>;
- 3) ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის, როდესაც ისინი საქონელს ცალობით გასცემენ,—12<sup>0</sup>/<sub>0</sub>.



**შენიშვნა.** ტრესტების ფასების წანამატებს, რაც ამა დადგენილების 1, 2 და 3 მუხლებშია აღნიშნული, დაერთვის სარკინისგზო, წყალსავალი და საყამირო გზის ფრახტის ფაქტიური ღირებულება და კაპიტალის ღირებულება გზაში.

4) ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

5) ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინაავტობის წესების დარღვევისათვის.

6) დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსტსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გაჯინსკი.**

ა/კ. ვაჭრობის სახ.-კტის კოლეგიის წევრი **მელიქ.**

საადმინ.-საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი **ეგიაევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 69 №-ში 1929 წ. მარტის 28-ს.

### ცირკულიარი ა/კსტსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. მარტის 11. № 7.

#### **54. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასისა და საკომპენსაციო სასყიდლის გაღებისათვის და ზედმეტი მუშაობის წარმოებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ.**

აზერბაიჯანის სსრ-ისა, საქართველოს სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატებს.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 7-ს დადგენილების (პლენ. ოქმი № 25, პუნ. 4) თანახმად და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასისა და საკომპენსაციო სასყიდლის გაღებისათვის და ზედმეტი მუშაობისათვის კონტროლის გაწევის მიზნით ა/კსტსრ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებს იძლევა.

1) რადგანაც 1929 წ. აპრილის 1-დან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შემოღებულია კონტროლი სამუშაო ხელფასის გაცემისათვის, — დამთავრებულ იქნეს მთელი მუშაობა 1928-29 საბიუჯეტო წლისათვის შტატებისა და ჯამაგირების დასაწესებლად და საშტატო-საჯამაგირო ნუსხები დაეგ-





ზავნოს ყველა დასახელებულ დაწესებულებას; იმავე დროს ამ ნუსხების ასლები გაეგზავნოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სამმართველოს.

2) გაძლიერებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების მიმართ ზედამხედველობა, რათა აღიკვეთოს ზედმეტი მუშაობა, კომპენსაციების უკანონოდ გაცემა და სხვა დარღვევა, რაც ზედმეტ ხარჯებს იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტით.

3) უკეთეს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები გამოაშკარავებენ ან სახელმწიფო საფინანსო კონტროლისაგან მიიღებენ ცნობას სახელმწიფოებრივი დანორმების წესით დადგენილი სამუშაო ხელფასის არასისწორით გაცემის შესახებ, საკომპენსაციო სასყიდლის არაკანონიერად გაცემის შესახებ, ზედმეტი მუშაობის უკანონოდ წარმოების შესახებ და სხვ.,—რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები მოვალენი არიან პასუხისგებაში მისცენ დამნაშავენი, როგორც შრომის კანონმდებლობის დამრღვევნი.

ა/კფსრ შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი  
და შრომის დაცვის განყოფ. გამგე შახსუვარიანი.

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და  
სატარაფო-საკონფლ. განყ. გამგე სიზოტენკო.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 69 №-ში 1929 წ. მარტის 1 28-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

**55.** შრომის ბაზრის მოწესრიგებისა, აგრეთვე სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეებისა და სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კფსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენენ;

1. შრომის ბაზრისა, სამედიცინო და სავეტერინარო დარგში მომუშავეთა და სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტთა შრომის გეგმისამებრ მოსაწესრიგებლად, აგრეთვე იმ მიზნით, რათა ა/კფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის სწარმოებდეს იმ ზედმეტი ძალების გაცვლა-გამოცვლა,



რაც შრომის მოთხოვნილებისა და დაკმაყოფილების სფეროში აღმოჩნდება, თანაც აღნიშნულ მომუშავეთა განაწილების გეგმის შესამუშავებლად, — მიენდოს ა/კფსო შრომის სახალხო კომისარიატს აწარმოოს დასახელებულ მომუშავეთა ყველა თავისუფალი ვაკანსიისა და სათანადო პროფესიების უმუშევართა აღნუსხვა.

2. მიენდოს ა/კფსო შრომის სახალხო კომისარიატს იხმაროს ღონისძიება ა/კფსო შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გასაძლიერებლად, შუამავლობის წესით, 1-ლ მუხლში აღნიშნულ მომუშავეთა დაქირავების საქმეში (კერძოდ, ზედმეტი ძალების გაცვლა-გამოცვლით).

3. დაევალოს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებასა და საწარმოს დროზე შეატყობინონ ხოლმე ა/კფსო შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატების საშუამავლო ორგანოებს როგორც მოთხოვნილება 1-ლ მუხლში აღნიშნულ მომუშავეებისა და სპეციალისტებისადმი, ისე მათი საგულვებელი დათხოვნის შესახებ, — როდესაც საგულვებელია მასსიური ან ჯგუფობრივი დაქირავება ან დათხოვნა — 2 თვით ადრე დაქირავებამდე ან დათხოვნამდე, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში — 2 კვირით ადრე.

4. დაეკისროს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს თვალყური ადევნონ მე-3 მუხ. გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას.

5. მიენდოს ა/კფსო შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სოფლად და მუშებით დასახლებულ ადგილებში კვალიფიციურ მომუშავეთა მიზიდვის მიზნით, განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი იმ პირთა მიმართ, რომელნიც განაგებენ სამკურნალო, სავეტერინარო და სააგრონომიო უბნებს, აგრეთვე 1-ლ მუხლში აღნიშნულ სპეციალისტთა მიმართ, რომელთაც უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები გაუთავებიათ და რომელნიც მუშაობას უბნებში ეწევიან:

ა) შესაძლებლად იქნეს, მხარეთა შეთანხმებით, მორიგი შვებულების 1 თვემდე გაგრძელება, სამის წლისთვის შვებულების შეჯამების უფლებით;

ბ) მიღებულ იქნეს ღონისძიება უბნებისა და სკოლებისათვის სპეციალური ლიტერატურის მისაწოდებლად;

გ) იმ პირთ, რომელთაც სოფლად და მუშებით დასახლებულ ადგილებში შეუწყვეტილად სამი წელიწადი მაინც უმუშავნიათ, მიეცეს, უკეთეს კვალიფიკაცია თანაბარია, უპირატესი უფლება თანამდებობის ქალაქად მიღებისა;

დ) დაევალოს მთავრობის ყველა გაზეთის გამომცემლობას უფასოდ მოათავსოს ხოლმე გაზეთში ა/კფსო შრომის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების განცხადებები შრომის მოთხოვნილებისა და დაკმაყოფილების შესახებ;

ე) ყოველწლივ გათვალისწინებულ იქნეს რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში სახსარის გაცემა ამა მუხლში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად;



ვ) დამყარებულ იქნეს სავალდებულო წესი იმ სასამართლო კოლეგიების შედგენილობის მოწყობისა, რომელთაც უნდა განიხილონ სამედიცინო და სავეტერინარო დარგების მომუშავეთა დანაშაულობის საქმეები, რაც დაკავშირებულია მათ მიერ პროფესიონალური მოვალეობის შესრულებასთან, ხოლო იმ პირობით, რომ ერთ-ერთი სახალხო მსაჯულთაგანი ეკუთვნოდეს ბრალდებულის პროფესიას;

ზ) უფლება მიეცეს იმ პირთა შვილებს, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების დროს სოფლად და მუშებით დასახლებულ ადგილებში უმუშავნიათ არა ნაკლებ 3 წლისა, (მათ შორის იმ გარდაცვალებულ პირთა შვილებსაც, რომელთაც იმავე ვადის განმავლობაში უმუშავნიათ) ყველა სასწავლებელში (სხვათა შორის, უმაღლეს სასწავლებელშიც) შეღავათიანი პირობებით შესვლისა და აგრეთვე უფლება სწავლის ფასიდან განთავისუფლებისა.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნულ პირთა შვილების ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასწავლებლებში მიღების ნორმებს დააწესებენ აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, ამ რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების წარდგენით.

6. მე-5 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები გავრცელებულ იქნეს აგრეთვე ამ მუხლში აღნიშნულ მომუშავეთა შორის ისეთებზედაც, ვინც სამუშაოდ მიწვეულია სამაზრო ქალაქის იმ უბანში, რომელიც მომსახურეობას სოფლის მოსახლეობას უწევს

7. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ინსტრუქცია ამა დადგენილების 1—4 მუხლების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. მარტის 25. ტფილისი—სასახლე.



## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**56. ა/კსფსრ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების ძირითად დებულებათა ზოგიერთი მუხლის დამატებისა და შეცვლის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ა/კსფსრ მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების ძირითად დებულებათ (ა/კსფსრ 1928 წ. მე-4 №-რი, მუხ. 43) დაემატოს 41<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„41<sup>1</sup>. საქალაქო საბჭო დამოუკიდებელ განყოფილებებს არ მოაწყობს, გარდა კომუნალური განყოფილებისა, რომელიც შეიძლება დაარსებულ იქნეს როგორც დამოუკიდებელი განყოფილება.“

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან ნება დართოს დიდი ქალაქის საქალაქო საბჭოს, გარდა კომუნალური განყოფილებისა, მოაწყოს სხვა განყოფილებაც, რაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უნდა აცნობოს“.

2. აღნიშნულ ძირითად დებულებათა 42 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„42. საქალაქო საბჭო ქალაქის მმართველობის ყველა დარგში, გარდა იმისა, რომლის მმართველობაც გამოყოფილია ცალკე განყოფილებად (41<sup>1</sup> მუხ.), თავის მუშაობას აწარმოებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა მეშვეობით, საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობისა და დირექტივების თანახმად“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. მარტის 25. ტფილისი—სასახლე.





## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**57.** სასამართლო ბაჟისა და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გადახდის სფეროში ა/კსფსრ სარეწაო-საკრედიტო კოოპერატიული ორგანიზაციების სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან გათანაბრების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ-ში სარეწაო-საკრედიტო კოოპერატიული ორგანიზაციები გათანაბრებულ იქნენ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან მათი საქმეების გამო სასამართლო ბაჟისა და სხვა გამოსაღების და ხარჯის გადახდევინებისა და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გასტუმრების სფეროში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე **შ. ელიავა**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. მარტის 25. ტფილისი—სასახლე

## დადგენილება № 115 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**58.** სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და საჯარო-ანგარიშგებავალდებულ შერეულ საზოგადოებათა საანგარიშო ნაწილის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და საჯარო-ანგარიშგებავალდებულ შერეულ საზოგადოებათა საანგარიშო ნაწილის შესახებ.



II. ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აპრილის 15-ს დადგენილება „სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და საჯარო-ანგარიშგებავალდებულ შერეულ საზოგადოებათა საანგარიშო ნაწილის დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 640)—გაუქმებულ იქნეს.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჭუხიენოვი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მართველი ნ. ზახტაძე.

1929 წ. მარტის 28. ტფილისი—სასახლე.

## დებულება სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და საჯარო-ანგარიშგებავალდებულ შერეულ საზოგადოებათა საანგარიშო ნაწილის შესახებ.

### I. ზოგადი დებულებანი.

1. სახელმწიფო ან იდგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებასა და საწარმოში, ყველა საჯარო-ანგარიშგებავალდებულ საწარმოსა და დაწესებულებაში და კოოპერატიულ ორგანიზაციაში, აგრეთვე ყველა შერეულ სააქციო საზოგადოებაში უნდა არსებობდეს საანგარიშო ნაწილი, რომლის დანიშნულებაც აღნუსხოს ფულადი შეფასების სახით დაწესებულებისა თუ საწარმოს მთელი მეურნეობრივი, ოპერატიული და ფინანსიური მოქმედება.

2. საანგარიშო ნაწილი მმართველობის ორგანოა და განაგებს დაწესებულებისა თუ საწარმოს აღნუსხვასა და ანგარიშგებას მთლიანად, ამ დაწესებულებასა თუ საწარმოში შემავალი ადგილობრივი საანგარიშო ნაწილებით და საანგარიშო დარგში მომუშავეებით.

3. ადგილობრივი საანგარიშო ნაწილები და საანგარიშო დარგში მომუშავეები თავიანთ მუშაობაში იხელმძღვანელებენ ზემდგომი საანგარიშო ნაწილის განკარგულებასა და დირექტივებს; ამასთანავე, ადგილობრივი საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს, იდგილობრივი მმართველობის ფარგლებში, აქვს ის უფლება და მოვალეობა, რაც ცენტრალური საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს.

4. I-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის ადმინისტრაციის მოვალეობას შეადგენს თავის დროზე (არა უგვიანეს დაწესებულებისა თუ საწარმოს მოქმედების დაწყების მომენტისა) მოაწყოს საანგარიშო ნაწილი; ამასთანავე, საანგარიშო ნაწილის დებულებას მიემუშავებს ამ ნაწილის ხელმძღვანელი და დამტკიცებს უწყებულები დაწესებულებისა, საწარმოს ან ორგანიზაციის სათავეში მდგომი პირი.



**შენიშვნა.** საანგარიშო ნაწილის დამტკიცებული დებულების ასლი გაიგზავნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო ორგანოში.

5. საანგარიშო ნაწილის მუშაობას წარმართავს საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი (მთავარი თუ უფროსი ბუხჰალტრის თანამდებობაზე), რომელიც, დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელისა თუ ხელმძღვანელი ორგანოს თანაბრად, პასუხისმგებელია აღნუსხვისა და ანგარიშგების სათანადოდ დაყენებისა და წარმოებისათვის როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

**შენიშვნა.** ადგილობრივი საანგარიშო ნაწილის მუშაობისათვის უშუალოდ პასუხს აგებს ადგილობრივი საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი.

6. იმ დაწესებულებასა, საწარმოსა თუ ორგანიზაციაში, სადაც საბუხჰალტრო აღნუსხვის ორგანო საფინანსო-საანგარიშო ნაწილის შედგენილობაში შედის, მთავარი ან უფროსი ბუხჰალტრის უფლება-მოვალეობანი მიკუთვნებული აქვს საფინანსო-საანგარიშო ნაწილის გამგეს.

7. საანგარიშო ნაწილი დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის მეთაურის ოპერატიულ ქვემდებარეობაშია, ხოლო, უკეთეს კოლევიალური მმართველობაა. — კოლეგიის ერთ-ერთი იმ წევრის ქვემდებარეობაში, რომელსაც დაკისრებული აქვს საანგარიშო ნაწილის გამგებლობა. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციამ საანგარიშო ნაწილის შესახები განკარგულება და ესა თუ ის მოთხოვნა უნდა განხორციელოს იმ პირის მეშვეობით, რომლის გამგებლობაშიაც საანგარიშო ნაწილია.

8. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს არსებულ კანონებსა და მთავრობის განკარგულებებს, აგრეთვე ზემდგომი, მომწესრიგებელი და მეკონტროლე ორგანოების მომქმედ დებულებებსა, ბრძანებებსა, განკარგულებებსა, ცირკულიარებსა, ინსტრუქციებსა და წესებს.

9. რათა საანგარიშო ნაწილმა შეასრულოს თავისი ფუნქციები, ცენტრალური საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს, სხვა მუხლებში აღნიშნულ უფლება-მოვალეობათა გარდა, დაეკისრება აგრეთვე ქვემდებარე ადგილობრივი საანგარიშო ნაწილებისა და საანგარიშო დარგში მომუშავეების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და მათი მოქმედების მიმართ ზედამხედველობის განხორციელება.

10. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელისათვის რაიმე გადასახდელის დადება ან მისი დათხოვნა ისეთი მოქმედების გამო, რაც მან ჩაიდინა ამა დებულების მოთხოვნათა შესრულების წესისამებრ, გამოიწვევს პასუხისმგებლობას დისციპლინარული ან სისხლის სამართლის წესით.

11. ამა დებულების შესრულებასა და შეფარდებას თვალყურს ადევნებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო ორგანოები.

**II. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა დანიშვნა და გადაყენების წესი.**

12. ცენტრალური საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს დანიშნავს და გადაყენებს დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ადმინისტრაცია მომ-



ქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ადგილობრივი საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს დანიშნავს და გადააყენებს ცენტრალური ადმინისტრაცია, ცენტრალური საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის წარდგენით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ადგილობრივ ადმინისტრაციასთან.

**შენიშვნა.** უკეთეს ადმინისტრაციასთან დადებულ იქნება ინდივიდუალური ხელშეკრულება, იგი შეთანხმებულ უნდა იქნეს ამა დებულებასთან.

13. საანგარიშო ნაწილის შტატისა და თანამდებობების დაწესებას და შტატის დროებით შეცვლას მასსიური შევებულებების გამო, ან სამუშაოს ოდენობისა და მოცულობის ეპიზოდური ცვლილების გამო, აგრეთვე საანგარიშო ნაწილის ყველა მომუშავეს მიღებას; გადაყვან-გადმოყვანას და დათხოვნას და თანამდებობების განაწილებას აწარმოებს დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ადმინისტრაცია, საანგარიშო ნაწილის წარდგენით ან მისგან დასკვნის მოთხოვნით.

14. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის მიერ სამსახურისათვის თავისდანიებების დროს იგი მოვალეა ჩამოაყალიბოს საანგარიშო ნაწილის თავისი მენაცვლისათვის გადაცემა.

15. საანგარიშო ნაწილის გადაცემა იმაში გამოიხატება, რომ ახალი ხელმძღვანელი მიიღებს ბალანსს, საანგარიშო ნაწილის ყველა დოკუმენტსა და საანგარიშო ჩანაწერს, რაც ხელთ არის გადაცემის მომენტში; ამისათვის შედგენილ უნდა იქნეს აქტი, რასაც ხელს მოაწერენ გადამცემი და მიმღები; აგრეთვე აქტში აღინიშნება ყველა ის გარემოება, რაც ახასიათებს გადასაცემი საანგარიშო ნაწილისა და საპერიფერიო საანგარიშო ნაწილების მდგომარეობას ჩაბარების მომენტისათვის.

**შენიშვნა.** საანგარიშო ნაწილის გადამცემი პასუხისმგებელია ყველა იმ დეფექტისათვის დოკუმენტებში, ჩანაწერებში და ბალანსებში, რაც გამორკვეული არ იყო აქტის შედგენის დროს და გამოაშკარავდა საანგარიშო ნაწილის ჩაბარების შემდეგ.

### III. საანგარიშო ნაწილისა და სხვა ნაწილების ურთიერთობა.

16. დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ადმინისტრაციის ან ოპერატიული ნაწილის ყველა ის განკარგულება, რაც, არსებული დებულებებისა და წესების განსავეითარებლად, აწესრიგებს ქონებრივი, ფულადი და მატერიალური ფასეულობისა და საქონლის მიღებისა, გამოყენებისა, შენახვისა, მოძრაობისა, ხარჯვისა და გასხვისების გაფორმებასა და აღნუსხვას, აგრეთვე დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ოპერატიულ ფუნქციებში შემავალი მუშაობის ტექნიკურ პირობებს,—შემუშავებულ უნდა იქნეს საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელთან ერთად ან შეთანხმებულ უნდა იქნეს მასთანვე—განკარგულებათა გაცემამდე.

17. დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ადმინისტრაცია და ოპერატიული ნაწილი მოვალეა მისცეს, საჭირო შემთხვევაში, საანგარიშო ნაწილს საჭირო ცნობები და ზედმიწევნითი ნარკვევები იმ საკითხების გამო, რა-



საც კავშირი აქვს ქონებასთან და ფასეულობასთან, აგრეთვე დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის სამეურნეო და საოპერატივო მოქმედებასთან.

18. დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ადმინისტრაცია და ოპერატიული ნაწილი მოვალეა გადასცეს საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს აღნუსხვისათვის დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვაგვარი გარიგება, მათი გაფორმებისათვის, და თავის დროზე შეატყობინოს საანგარიშო ნაწილს ყველა ის ცვლილება, რაც მომქმედ ხელშეკრულებაში, შეთანხმებაში და გარიგებაში მოხდება.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნული დაკუმენტები, მათ გაფორმებამდე, შეთანხმებულ უნდა იქნეს საანგარიშო ნაწილთან აღნუსხვის მოთხოვნათა შესრულების ხაზით.

19. საანგარიშო ნაწილი მიიღებს აღნუსხვაზე და ანგარიშებში გასატარებლად მხოლოდ ისეთ დოკუმენტებს (მათ შორის ხელშეკრულებას, პირობას, გარიგებას და სხვ.), რაც სათანადოდ არის გაფორმებული.

20. დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის მიერ გასაცემი ყველა ჩეკი, თამასუქი და სხვა ფულადი ვალდებულება და დოკუმენტი გადაცემულ უნდა იქნეს საანგარიშო ნაწილისათვის აღნუსხვაზე მისაღებად, ვიზის დასასმელად და გაფორმებული წესით დანიშნულებისამებრ გასაცემად.

21. საანგარიშო ნაწილი მოვალეა წარუდგინოს ხოლმე ადმინისტრაციას და ოპერატიულ ნაწილს, მათი მოთხოვნისამებრ, დაწესებული ანგარიშგების გარდა, აგრეთვე ყველა ნარკვევი და ცნობა, რაც უშუალოდ გამომდინარეობს დადგენილი სისტემიდან.

**შენიშვნა 1.** ოპერატიული ხასიათის ცნობებსა და ნარკვევებს საანგარიშო ნაწილი გასცემს მხოლოდ წინადავე შეთანხმებული ფორმით და წესით.

**შენიშვნა 2.** ორგანიზაციების მოთხოვნა საანგარიშო ნაწილის მიერ ცნობებისა და ნარკვევების მიცემის შესახებ უნდა გადაეცეს მას დაწესებულებისა თუ საწარმოს ადმინისტრაციის მეშვეობით და ადმინისტრაცია ყოველთვის ცალკე შეუთანხმებს საანგარიშო ნაწილს ამ ცნობებისა თუ ნარკვევების გაცემის წესსა და ვადას.

#### IV. საანგარიშო ნაწილის მომუშავეთა მოვალეობა და პასუხისმგებლობა

22. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აღნუსხვის წესიერად დაყენებისა და სისავსისათვის, აპარატის ნორმალური მუშაობისათვის და ცენტრალური და ადგილობრივი საანგარიშო ნაწილებისა და საანგარიშო დარგში მომუშავეთა ანგარიშგებისათვის.

23. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის მოადგილე თუ თანაშემწე პასუხს აგებს მის მიერ შესასრულებელი ფუნქციების ფარგლებში; ხოლო, უკეთეს იგი ასრულებს საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის თანამდებობას, მოადგილე თუ თანაშემწე პასუხისმგებელია საანგარიშო ნაწილის საერთო დაყენებისა და მუშაო-



ბის ამა თუ იმ ნაკლისათვის და ყველა იმ ცვლილებისათვის, რასაც იგი, საანგარიშო ნაწილს ხელმძღვანელისათვის შეუტყობინებლად, საქმეში შეიტანს.

24. საანგარიშო ნაწილის ყოველი მომუშავე პასუხს აგებს იმ სამუშაოსათვის, რასაც იგი ასრულებს მისთვის დაკისრებული ფუნქციების ფარგლებში.

25. საანგარიშო დარგის ყოველი კატეგორიის მომუშავენი ემორჩილებიან საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის ხელმძღვანელობას.

26. საანგარიშო დარგის ყოველი მომუშავე, რომელიც თავის მუშაობაში ისე დამახინჯებს საქმეს, რომ ეს გავლენას იქონიებს საბალანსო ან საანგარიშო ცნობების სისწორესა და სინამდვილეზე, უკეთეს ეს დამახინჯება ჩადენილია შეგნებით, პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, იმისდამიუხედავად, ჩადენილია საქმის დამახინჯება დამოუკიდებლად თუ ვისიმე მოთხოვნით.

**შენიშვნა.** საანგარიშო დარგის მომუშავე განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, უკეთეს იგი განაცხადებს პროტესტს ამა დებულების 29 მუხლში აღნიშნული წესით.

27. საანგარიშო დარგის მომუშავე პასუხს აგებს ამა თუ იმ ოპერაციის უდოკუმენტოდ ანგარიშებში გატარებისათვის—ისე, როგორც წინა მუხლში აღნიშნული დამახინჯებისათვის.

**შენიშვნა.** უდოკუმენტოდ ოპერაციის გატარება ეწოდება ისეთ მოქმედებას, როდესაც საჭიროა დასასაბუთებლად ხელშეკრულებისა, კორესპონდენციისა, პირობებისა, ამონაწერისა და ოფიციალური ნარკვევის დართვა ან აღნიშვნა იმ დოკუმენტებისა, რაც საანგარიშო ნაწილშია, და ოპერაცია-კი გატარებული იქნება დოკუმენტების დაუროველად ან აღუნიშვნელად.

28. ადგილობრივი საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მოვალეა ყველა მოხსენების ასლი იმ საკითხების გამო, რაც საანგარიშო ნაწილს ან მისი მუშაობის რომელსამე ცალკე მომენტს ეხება, წარუდგინოს ცენტრალური საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს; ასევე, უკეთეს აღიძვრის რაიმე შეუთანხმებლობა ან საკითხი საანგარიშო ნაწილსა და ადგილობრივი ადმინისტრაციას შორის, ადგილობრივი საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მოვალეა აცნობოს ეს ცენტრალური საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს, საქმის გარემოებათა აღწერით და იმის აღნაშენით, თუ როგორ მოიქცა იგი.

29. უკეთეს საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მიიღებს ადმინისტრაციისაგან ისეთ განკარგულებას, რაც ეწინააღმდეგება არსებულ კანონებსა და განკარგულებებს, აგრეთვე მომქმედ დადგენილებებსა, დებულებებსა, ბრძანებებსა, ცირკულიარებსა, ინსტრუქციებსა და წესებს,—იგი მოვალეა, განკარგულების აღსრულებამდე, წერილობით, მიაქციოს ადმინისტრაციის ყურადღება ასეთი განკარგულების არაკანონიერებას. უკეთეს იგი მიიღებს განკარგულების წერილობით დადასტურებას, საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მოვალეა შეასრულოს იგი და იმავე დროს აცნობოს ეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო ორგანოს და ცენტრალურ საანგარიშო ნაწილს (უკეთეს იგი არსებობს).

უკეთეს ხელმეორედ მიღებული განკარგულება შეიცავს აშკარა ნიშნებს ისეთი მოქმედებისას, რაც იწვევს სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას,



საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მოვალეა არ აღასრულოს განკარგულება და დაუყოვნებლივ აცნობოს ეს ამა მუხლში აღნიშნულ ორგანოებს.

**შენიშვნა.** საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისა თუ საწარმოს საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი, ამის გარდა, აცნობებს ზემოაღნიშნულ გარემოებას აგრეთვე ამ დაწესებულებისა თუ საწარმოს მორევიზიე სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოს.

30. ა/კსტსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს უფლებად ეძლევა, ამა დებულების ცალკე მუხლების განსავითარებლად, გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები და წესები.

## დადგენილება № 116 ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 59. ყოველგვარი სისტემის ზამბარიანი სასწვრების უცხოეთიდან შემოტანისა და ა/კსუსრ ტერიტორიაზე წარმოების მოწყობის აკრძალვის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. ივნისის 6-ს დამტკიცებული „საზომ-საწონთა დებულების“ („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა, სახ. კომ-თა საბჭოს და შრ. და თავდაცვის საბჭოს ვესტნიკ“-ის 1924 წ. მე-6 №-რი, მუხ. 202) მე-4 და 17 მუხლებისა და „ამიერკავკასიის საზომ-საწონთა პალატისა და ადგილობრივი შემმოწმებელი პალატების დებულების“ (ა/კსტსრ კან. კრ. 1925 წ. მე-8 №-რი, მუხ. 484 და 487) თანახმად—ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი სასწორი, როგორც ა/კსტსრ ტერიტორიაზე გაკეთებული, ისე უცხოეთიდან შემოტანილი, უნდა შეესაბამებოდეს საერთო-საკავშირო სტანდარტებით დაწესებულ და მიღებულ ნორმებს.

2. აიკრძალოს ყოველგვარი სისტემის ზამბარიანი სასწვრების ხმარება წონის განსაზღვრისათვის ამა თუ გარიგებასა, ვაჭრობასა და სარეწავში, აგრეთვე მუშაობის აღნუსხვაში სამუშაო ხელფასის გამოსაანგარიშებლად, მასალებისა და პროდუქტების მიღებასა, გაცემასა და განაწილებაში.

3. ყოველგვარი სასწვრის შემოტანისათვის ლიცენზია უნდა გაიცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სათანადო სპეციფიკაცია შეთანხმებულ იქნება ამიერკავკასიის საზომ-საწონთა პალატასთან.





4. წინადადება მიეცეს ა/კფსრ ვაკრობის სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის საზომ-საწონთა პალატას გამოსცენ ერთი თვის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჭუსენიოვი.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. მარტის 28. ტფილისი-სასახლე.

### დადგენილება № 117 ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

#### 60. 1929 წლის მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1928 წ. დეკემბრის 7-ს დადგენილების შესაბამისად საჭიროდ იქნეს, ა/კფსრ პირობების მიხედვით, შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება:

#### I. სამეცნიერო-საექსპერიმენტალო მუშაობა.

1) განვითარებულ იქნეს ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის მოქმედება და წინადადება მიეცეს მშენებელ ორგანიზაციებსა და უწყებებს დაამყარონ მასთან მჭიდრო კავშირი, აგრეთვე მოისაზრონ საჭირო საკვლევო ამოცანები და მათი შესრულების შესახებ შეეთანხმონ ნაგებობათა ინსტიტუტს.

2) ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—წინადადება მისცეს ნაგებობათა სახელმწიფო საექსპერიმენტალო ინსტიტუტს, რათა მან გააძლიეროს სამეცნიერო და მატერიალური სახსარით ახლად გახსნილი ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტი.

#### II. საპროექტირო მუშაობა.

ა. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს:

1) ვალდებულყუნ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები და სხვა მშენებელი უწყებები და ორგანიზაციები განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმების შედგენილობაში შემუშავებულ იქნეს აგრეთვე საკვლევო (საშენი მასალის გამოკვლევითურთ) და საპროექტირო სამუშაოებისა და მათი დაფინანსების გეგმა;



ბ) თავის დროზე და სრულად უზრუნველყოფილ იქნეს სახსარი საძიებლო და საპროექტირო სამუშაოები იმ მშენებლობისა, რაც დანიშნულია კაპიტალურ სამუშაოთა გეგმებში შესატანად.

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი—დაევალოს მშენებლობას:

ა) პროექტების შედგენისათვის თავისი საპროექტო ბიუროს მომუშავეთა გამოყენების დროს არ იქნეს მიღებული ნაჭრობით მუშაობა;

ბ) უკეთეს პროექტები შესრულებულ იქნება არა საკუთარის აპარატით, სრულის საფასურით გამოყენებულ უნდა იქნენ არსებული სპეციალური საპროექტო ორგანიზაციები და სამუშაოს გარედ გაცემა, ნაჭრობითი წესით, შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

3. დაეკისროს სამშენებლო კონტროლის ორგანოებს მოაწყონ სისტემატური შესწავლა რაიონის ნიადაგის პირობებისა, აგრეთვე სხვადასხვაგვარისა და თვისების ადგილობრივი საშენი მასალისა, რისთვისაც გამოიყენონ სათანადო ორგანიზაციების გამოცდილება, იმ პირობით, რომ ადგილობრივ შეკრეფილ ცნობებს სამშენებლო კონტროლის ორგანოები ჰგზავნიდნენ ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტში მეცნიერული დამუშავებისათვის.

4. დაევალოს მპროექტებელ უწყებებსა და ორგანიზაციებს, პროექტირობის წესით გამოიყენონ ნე-3 მუხლში აღნიშნული მასალების შედეგები, ხოლო საჭირო შემთხვევაში მოაწყონ ამ საკითხების დამოუკიდებლად შესწავლა განზრახული მშენებლობის რაიონში.

5. დაევალოს ყველა იმ ორგანოს, რომელიც პროექტებს ამტკიცებს, ექონიოს მეთვალყურეობა, რათა საესკიზო და საბოლოო პროექტების დამტკიცების დროს მპროექტებელ ორგანიზაციებს მოეთხოვოთ დაწვრილებითი დასაბუთება:

ა) შენობისა და სართულების ნავარაუდები სიმაღლისა, რაც დამოკიდებულია საესკიზო და საბოლოო პროექტებზე აღნიშნული გაწყობილობის გაბარიტებისაგან;

ბ) განსაზღვრული დატვირთვისა, რაც გაწყობილობის წონასა და მუშაობის პირობებს შეესაბამება;

გ) ნაპროექტევი ნაგებობის შეთანხმება მთელი საწარმოს განვითარების გეგმასთან.

6. რათა თავიდან აცილებულ იქნეს მასალის მეტისმეტი ხარჯიანობა, შორს გადაზიდვა და საწყობებში ზედმეტად მიზიდვა, დაევალოს მშენებელ ორგანიზაციებსა და უწყებებს—ამა თუ იმ მშენებლობისათვის საშენი მასალის მიწოდების გეგმის შემუშავებისა და ამ მასალების ყიდვა-მიწოდების ხელშეკრულების დადების დროს:

ა) მაქსიმალური ზედმიწევნობით იქნეს განსაზღვრული საჭირო საშენი მასალის სპეციფიკაცია;

ბ) ყიდვა-მიწოდების ვადები შეთანხმებულ იქნეს მუშაობის საკალენდრო გეგმასთან;

გ) მთლად იქნეს გამოყენებული საშენი მასალის უახლოესი ბაზრები.



7. დაევალოს ა/კსფსრ ვაკრობის სახალხო კომისარიატს—ა/კსფსრ-თვის საშენი მასალის მომარაგების საერთო გეგმის დამტკიცების დროს—მოითხოვოს ცნობები საშენი მასალის ნაშთის შესახებ დიდ მომხმარებელთა საწყობებში.

ბ. 1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიისა და ა/კსფსრ-ში მომუშავე საერთო-საკავშირო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს განახორციელონ აგრეთვე ზემოაღნიშნული ღონისძიებანი მათ მიერ წარმოებულ მშენებლობაში.

2. დაევალოს ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტს—ნიადაგის პირობების შესწავლის საფუძველზე შემუშავებული ღონისძიებანი შეუთანხმოს ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტს.

### III. მუშაობის მოწყობა.

რადგანაც მშენებლობის გაუმჯობესების საქმეში მშენებელი მუშები ნაკლებად არიან ჩაბმულნი, სუსტად არის განვითარებული საწარმოო თათბირების მუშაობა და გამოყენებული არ არის გამომგონებლობის ფონდები,—მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს—დაავალონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს და დიდ მშენებელ ორგანიზაციებს,—მშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მონაწილეობით,—შეიმუშაონ ღონისძიებანი:

ა) მშენებელი მუშებისათვის კულტურულ-ყოფაცხოვრების სფეროში რაც შეიძლება საუკეთესოდ მომსახურეობის გასაწევად;

ბ) საწარმოო თათბირებისა და დროებითი საკონტროლო კომისიების მოსაწყობად კონკრეტული წარმოებითი ამოცანების საფუძველზე;

გ) გამომგონებლობის ფონდების ცენტრალიზაციისათვის თვით მშენებლობაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჭუსეინოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. აპრილის 28. ტფილისი—სასახლე.

